ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N15

20.07.2018 ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

13:30 საათი *საკრებულოს ბიუროს სხდომათა დარბაზი*

მიმდინარე წლის 20 ივლისს, 13:30 საათზე, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით უჯმაჯურიძე, საკრებულოს წევრები თინათინ ნიბლოშვილი და მიხეილ ამაშუკელი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების წარმომადგენლები, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის, ქ. თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, მიერ სპორტული და ახალგაზრდული პროგრამის/ქვეპროგრამების შესრულების შესახებ ინფორმაციის მოსმენა** *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის I და II კვარტალი)* **(მომხსენებელი** - ზაზა ცინაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).
2. **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული, სპორტული**

და ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარე ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის I და II კვარტალი)* (**მომხსენებელი** - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების წარმომადგენლები).

3. **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა** *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის I და II კვარტალი)* (**მომხსენებელი** - **გიორგი ჩაკვეტაძე** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქ.თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, მიერ სპორტული და ახალგაზრდული მიმართულების საბიუჯეტო პროგრამის/ქვეპროგრამების შესრულების შესახებ, ინფორმაცია კომისიას სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ზაზა ცინაძე - 08 06 01 სპორტული ღონისძიებები - გეგმა - 2 034 500 ლარი, ხარჯი - 1 871 646 ლარი, შესრულება - 92%. 08 06 02 მწვრთნელთა მხარდაჭერა - გეგმა - 1 312 600 ლარი, ხარჯი - 1 281 250 ლარი, შესრულება - 97,61%. 08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა - გეგმა - 1 850 000, ხარჯი - 604 031 ლარი, შესრულება - 32,65%. 08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება - გეგმა - 195 000 ლარი, ხარჯი - 177 875 ლარი, შესრულება - 91,22%. 08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა - გეგმა - 589 250 ლარი, ხარჯი - 560 856 ლარი, შესრულება - 95,18%. სულ - გეგმა - 5 981 350 ლარი, ხარჯი - 4 495 658, შესრულება - 75,16%

სპორტული ღონისძიებების (კოდი 08 06 01) ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 168 (ასსამოცდარვა) სპორტული პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 182 500-მდე ბენეფიციარმა. ასევე პროგრამით თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა 34 სპორტული ფედერაციისა და კლუბისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა.

მწვრთნელთა მხარადაჭერის (კოდი 08 06 02) ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 345 (სამასორმოცდახუთი) მწვრთნელ-მასწავლებელს, რომლებიც მოზარდებს ავარჯიშებენ სპორტის 49 (ორმოცდაცხრა) სახეობაში.

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობის (კოდი 08 06 04) ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა, „ვეგა+", დაბა წყნეთში, ამილახვრის ქ. N21-ში სპორტული დარბაზის სამშენებლო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შედგენა, მიმდინარეობს ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" ნაძალადევის კომპლექსის, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის მშენებლობა/რეაბილიტაცია, სპორტულ ბაზაზე მოეწყობა ჭიდაობის დარბაზი, კრივის რინგი და 2 (ორი) საცურაო აუზი (დიდი - 25 მ. პატარა - 15 მ). ასევე, სპორტსმენებისთვის მოეწყობა ფიტნეს-დარბაზი, გასახდელები და კაფე. სრული დატვირთვის შემდეგ ცენტრი მოემსახურება 1 000-ზე მეტ ბენეფიციარს. სამუშაოების დასრულების შემდგომ ჩატარდება ინსპექტირება.

ქვეპროგრამა წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების (კოდი 08 06 05) ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, 18 წლამდე ასაკის 240 (ორასორმოცი) წარმატებული სპორტსმენი ბავშვი დაფინანსდა სპორტის 34 (ოცდათოთხმეტ) სახეობაში.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამით პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 06 06), ინტენსიურად მიმდინარეობდა საწვრთნელ–სარეაბილიტაცო პროცესი, საერთო ჯამში, საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია 191 (ასოთხმოცდათერთმეტი) პარასპორტსმენი და 16 (თექვსმეტი) მწვრთნელი. ცენტრში ვითარდება 15 (თხუთმეტი) პარასპორტული სახეობა.

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობის ქვეპროგრამით დედაქალაქში უნდა განხორციელდეს ორი ახალი მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა, ამ ეტაპზე გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული კომპანია, წლის ბოლომდე დაიწყება სამშენებლო სამუშაოები უკვე შერჩეულ მისამართებზე, ვარკეთილში და დიდ დიღომში. პროექტით, ცენტრში განთავსდება დიდი და მცირე ზომის საცურაო აუზები, მოეწყობა დიდი დარბაზი, სხვადასხვა სპორტული სექციებით, ცენტრში იფუნქციონირებს მედიათეკა და ბიბლიოთეკა, რაც მთავარია აღნიშნული ცენტრი მოსახლეობისთვის იქნება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი.

ახალგაზრდული ღონისძიებები (კოდი 08.08): 6 თვის გეგმა - 849 700 ლარი, ხარჯი 730 192 ლარი, სხვაობა - 119 508 ლარი, შესრულება - 86%. 08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის გეგმა – 502 700 ლარი, ხარჯი - 437 081 ლარი, სხვაობა - 65 619 ლარი, შესრულება - 87%. 08 08 02 ა(ა)იპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება, 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის გეგმა - 347 000 ლარი, ხარჯი - 293 110 ლარი, სხვაობა - 53 890 ლარი, შესრულება - 84.5%.

საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდულ ღონისძიებებების ფარგლებში, ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად ჩატარდა მაშტაბური ღონისძიება სადაც ჩართული იყო 20-ათასამდე სტუდენტი. ასევე მნიშვნელოვანია ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზება ახალგაზრდებში, რომლის ფარგლებშიც დაიწყო ფესტივალი ,,თბი-ლისი", ფესტივალში საკმაოდ დიდი ჩართულობაა ფედერაციების, მოყვარულების და მოსახლეობის მხრიდან. თბილისმა ასევე უმასპინძლა სასკოლო ოლიმპიადას, მოეწყო მიწისქვეშა გადასასვლელების მოხატვის აქცია, შეიქმნა საზაფხულო ლაშქრობების და ბანაკების სერვისი, ა(ა)იპ ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება აქტიურად მუშაობს მოსწავლე ახალგაზრდებთან და საანგარიშო პერიოდში მან სხვადასხვა ღონისძიება განახორციელა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - დაინტერესდა ფესტივალი ,,თბი-ლისი , ლისის ტბის ტერიტორიის გარდა სხვა ლოკაციებზე თუ იგეგმება და ახალგაზრდა სპორტსმენების წახალისების და მწვრთნელთა მხარდაჭერის ქვეპროგრამების შესრულებით.

ზაზა ცინაძე - ფესტივალი ,,თბი-ლისი სხვა ლოკაციებზე ჩატარების თაობაზე რამდენიმე მისამართთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები. რაც შეეხება ახალგაზრდა სპორტსმენების დაფინანსებას, გეგმის ფარგლებში მიმდინარეობს. იგეგმება აღნიშნული მხარდაჭერის პროგრამის წესში ცვლილების შეტანა, ხოლო მწვრთნელთა მხარდაჭერის წესში ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი სერთიფიკატების და გადამზადების მაჩვენებელი საბუთების წარმოდგენასთან დაკავშირებით, რაც სექტემბრის თვეში უნდა დასრულდეს.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის, ქ. თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, მიერ სპორტული და ახალგაზრდული პროგრამის/ქვეპროგრამების შესრულების შესახებ ინფორმაცია (დანართი) .

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში" ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე ახალგაზრდული, სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაცია კომისიას გამგეობების წარმომადგენლებმა წარუდგინეს.

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

ფრენბურთის ტურნირი ბიჭებისთვის და გოგონებისთვის, აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების 10 კაციანმა გუნდებმა მიიღეს. კერძოდ 18 სკოლამ წარმოადგინა 10 გოგონების და15 ვაჟების გუნდი. პროექტში ჩართული იყო 250 მოსწავლე.

ტრენინგები ადგილობრივ თვითმმართველობაზე, ზოგადსაგანმანათლებლო ტრენინგები - ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, გლდანის რაიონის მასშტაბით ყველა საჯარო და კერძო სკოლაში ჩატარდა, კერძოდ 25 საჯარო და 10 კერძო სკოლაში. ეს პროექტის პირველი ეტაპია და მასში მონაწილეობა არანაკლებ 900-მა მოსწავლემ მიიღო.

ტურნირი ქუჩის კალათბურთში 3X3 ერთ დღიანი ტურნირნი ქუჩის კალათბურთში რომელიც, ფიბას სტანდარტებით ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობა 4 კაცისგან შემდგარმა 16 გუნდმა მიიღო.

ტურნირი ტყვიის სროლაში გლდანის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირებისთვის. 26 მაისის აღსაღნიშნავად დაგეგმილ ტურნირში 30 ვეტერანი მონაწილეობდა

ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში მოსახლეობის აქტიური მოთხოვნით, გამგეობის ორგანიზებით გაიმართა ნოდარ მოდებაძის სახელობის ღია ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, 15 წონით კატეგორიაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150 - მდე მოზარდმა.

2018 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გლდანის რაიონის გამგეობის ორგანიზებით იგეგმება: ტურნირი მინი ფეხბურთში, ტურნირი პეინტბოლში, ზოგადსაგანმანათლებლო ტრენინგების მეორე ეტაპი, ტრენინგი თემაზე - შშმ პირების უფლებები.

სამგორის რაიონის გამგეობა - სპორტულ ტურნირებთან ერთად, ჩატარდა კალენდარული ღონისძიებები თბილისობა და ახალი წლის ღონისძიებები. ჩატარდა ჭიდაობის ტურნირი სამ სახეობაში, ასევე მინი ფეხბურთის და კალათბურთის ტურნირები. იგეგმება კინბოქსინგის ტურნირი, მარათონი სკოლებს შორის და საგანმანათლო პროექტი ,,ახალგაზრდული დებატები".

დიდუბის რაიონის გამგეობა - ორი კვარტლის მონაცემებით ჩატარდა 5-სპორტული და 2-ახალგაზრდული ღონისძიება. ტურნირი: ფრენბურთში, ქუჩის კალათბურთში, ბილიარდში, ეარ-სოფთში, ტირში, მაგიდის ჩოგბურთში, კარტინგში, ბადმინტონში, მინი ფეხბურთში. ღონისძიებები: ,,სპორტი ცხოვრების წესი", ,,მხიარულები და საზრიანები", ,,გაზაფხულის დღესასწაული", ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ღონისძიებები.

ვაკის რაიონის გამგეობა - ვაკის რაიონში ჩატარდა ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირი, ფერების ფესტივალი მზიურში 13-ივნისს. მესამე კვარტალში იგეგმება ქუჩის კალათბურთის ტურნირი და წყნეთობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ჭიდაობის და სხვა სახის ტურნირების ჩატარება.

კრწანისის რაიონის გამგეობა - კრწანისის რაიონში ჩატარდა 4 სპორტული და 3 კულტურული ღონისძიება, მთლიანობაში გახარჯულია 66, 500 ათასი ლარი, გეგმის მიხედვით. ტურნირები: ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, კიკ-ბოქსინგში, ფრენბურთსა და ფეხბურთში. ამჟამად, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტებიდან იგეგმება მხოლოდ კულტურულ-გასართობი ღონისძიებების ჩატარება.

ისნის რაიონის გამგეობა - ისნის რაიონში ჩატარდა ტრადიციული სპორტული ტურნირები: ფრენბურთში, მინი ფეხბურთში, ფეინთბოლში, ქუჩის კალათბურთში. ასვე წიგნის ფესტივალი, რაც შეეხება დაგეგმილ ღონისძიებებს - მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში დაგეგმილია ცურვის ჩემპიონატის ჩატარება, ხოლო სექტემბრის თვეში დაგეგმილია ფიფას ტურნირი ფლეი სთეიშენში ,,ისნის თასი ფიფა 2018".

საბურთალოს რაიონის გამგეობა - საბურთალოს რაიონში ჩატარდა ტრადიციული სპორტული *ტურნირები:* ჭიდაობაში, ფრენბურთი, ქუჩის კალათბურთი და მინი ფეხბურთი. *ღონისძიებები:* ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, დიდგორობის ტრადიციული დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, 200-მდე შშმ ბავშვი გასართობ ცენტრ ,,ისთ-ფოინთში", სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ ფეხბურთის კლუბ „ხილიანს" საზეიმოდ გადაეცა სპორტული ინვენტარი. დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: წყალბურთის და პეინთბოლის ტურნირები, გასვლითი ღონისძიება „ლაშქრობა", საზაფხულო კინოჩვენებები უბნებში, შშმ ბავშვების სპორტული და გასართობი აქტივობა აკვაპარკში, ჭადრაკის და ნარდის ტურნირები, „თბილისობა 2018", ახალი წლის კონცერტი.

მთაწმინდის რაიონის გამგეობა - საანგარიშო პერიოდში მთაწმინდის რაიონში ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, იგეგმება კოჯორში გურამ თუშიშვილის სახელობის ჭიდაობის ტურნირის ჩატარება, ასევე კალენდარული ღონისძიებების განხორციელება.

ჩუღურეთის რაიონის გამგეობა - საანგარიშო პერიოდში, ჩუღურეთის რაიონში ჩატარდა 4 სპორტული და 2 კულტურული ღონისძიება. მათ შორის: გარბენი „ჩემი გაზაფხული 2018“, ტურნირი ფრენბურთში საჯარო სკოლებს შორის, ტურნირი ქუჩის კალათბურთში, ტურნირი მინი ფეხბურთში „ჩუღურეთის თასი - 2018“. დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებები, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურულ-გასართობი ღონისძიება. იგეგმება: სპორტული ფესტივალი, სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის კულტურულ-გასართობი ღონისძიება, გასართობ-შემეცნებითი ღონისძიება „მხიარული სტარტები“, კულტურული ღონისძიება „თბილისური საღამო“, საჯარო სკოლების წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოება და საახალწლო გასართობი ღონისძიების გამართვა.

ნაძალადევის რაიონის გამგეობა - საანგარიშო პერიოდში ნაძალადევის რაიონში ჩატარდა 6 სპორტული და კულტურული ღონისძიება, მათ შორის ტურნირები: ფრენბურთში და კალათბურთში. კულტურული და გასართობი ღონისძიებები: დედის დღის აღსანიშნავი ღონისძიება "ვაჩუქოთ დედებს", ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის აღსანისშნავი ღონისძიება - "ქალებს შეუძლიათ", ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და დედამიწის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები. წლის ბოლომდე იგეგმება სხვა სპორტული და კულურული აქტივობების ჩატარება.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მადლობა გადაუხადეს რაიონული გამგეობების წარმომადგენლებს მათ რაიონებში ჩატარებული სპორტული და ახლგაზრდული ღონისძიებების შესახებ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში“ ფარგლებში მიმდინარე ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაცია (დანართი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობის მიერ, ბიუჯეტით გათვალისწინებული კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში ფარგლებში, ორი კვარტლის განმავლობაში, განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია კომისიას სხდომის თავმჯდომარემ წარუდგინა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

გიორგი ჩაკვეტაძე - ინფრასტრუქტურის ნაწილში არის შთამბეჭდავი შედეგები, რაიონული გამგეობების მიერ საანგარიშო პერიოდში ქალაქს შეემატა 60-მდე სატრენაჟორო სივრცე, რაზეც მოთხოვნა მზარდია, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 90-მდე სპორტულ მოედანს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქისათვის მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის კუთხით. არსებობს გარკვეული ხარვეზები და საჭიროა ერთიანი სტანდარტის შემუშავება მოედნების საფარის გაუმჯობესების კუთხით და მოვლა პატრონობის მიმართულებით, რასაც სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია სხვა უწყებებთან ერთად უახლოეს მომავალში შეიმუშავებს. კომისია ადგილზე ახორციელებს მონიტორინგს მერიის და გამგეობების ბალანსზე არსებული, რეაბილიტირებული და ახლადშექმნილ სპორტული ობიექტების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მსგავს ფორმატში ინფორმაციას კომისია პირველად იღებს და ეს მომავალშიც გაგრძელდება.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჯაფარიძე- შთამბეჭდავია გამგეობების მიერ შესრულებული სამუშაოები, სასურველია პიარის კომპონენტისა და საკრებულოს წევრების ჩართულობის ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, რათა მოსახელობას მიეწოდოს ინფორმაცია მათ რაიონში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია (დანართი).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე